FAO-ს მხარდაჭერა სურსათის უვნებლობის სექტორს ENPARD IV პროგრამის ფარგლებში

<u>საგრანტო სახელმძღვანელო</u>

ივლისი, 2025

მხარდაჭერის პაკეტი 7

„მხარდაჭერის პაკეტი თხილის მცირე და საშუალო მწარმოებლებისთვის“

დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ და ხორციელდება FAO-ს მიერ

აღნიშნული გამოცემა მომზადდა ევროკავშირისა და შვედეთის მხარდაჭერით. აღნიშნული გამოცემის შინაარსი წარმოადგენს FAO-ს პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის და შვედეთის შეხედულებებს. აღნიშნულ გამოცემაში გამოყენებული დასახელებები და მასალის წარდგენის ფორმები არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რაიმე მოსაზრებას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ტერიტორიული ერთეულის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივი ან განვითარების სტატუსის, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ. კონკრეტული კომპანიებისა და მწარმოებელთა პროდუქტების ხსენება, მიუხედავად იმისა, დაპატენტებულია თუ არა ისინი, არ გულისხმობს, რომ ისინი მოწონებულია ან რეკომენდებულია FAO-ს მიერ, ან მათ FAO უპირატესობას ანიჭებს სხვა მსგავსი სახის ისეთ კომპანიებთან ან პროდუქტთან შედარებით, რომლებიც არ არის ნახსენები ამ დოკუმენტში.

სარჩევი

გამოყენებული აკრონიმები 2

ძირითადი ტერმინების განმარტება 3

1. შესავალი 4

2. საგრანტო კომპონენტის მოქმედების სფერო, დასაშვები კრიტერიუმები, და დასაშვები ინვესტიციები 5

2.1 საგრანტო კომპონენტის მოქმედების სფერო 5

2.2 განმცხადებლების დასაშვები კრიტერიუმები 5

2.3 დასაშვები ინვესტიციები 7

2.4 ზოგადი პრინციპები და ინვესტიციის მხარდაჭერის ზღვარი 7

3. განაცხადის გაკეთების პროცესი 8

I ფაზა: პოტენციურ ბენეფიციარებთან დაკავშირება 8

II ფაზა: გრანტის მართვის პლატფორმაზე განაცხადის შექმნა 8

III ფაზა: შესაბამისობის განხილვა 10

IV ფაზა: წარდგენილი თანამონაწილეობრივი გრანტის ტექნიკური შეფასება და ქულების მინიჭება 10

V ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის შერჩევა და ჯილდოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება 11

VI ფაზა: Zoho-ს პროფილის შექმნა 12

VII ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების მომზადება და ხელმოწერა 12

VIII ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის გადახდა 13

IX ფაზა: (შერჩევითი) ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შემოწმების ვიზიტები ... 14

XIV ფაზა: მონიტორინგის აქტივობები 15

გამოყენებული აკრონიმები

ENPARD – ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის

FAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

FBO – სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი

GOM – საგრანტო სახელმძღვანელო

MEAL – მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშვალდებულება და სწავლა
MEPA – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NFA – სურსათის ეროვნული სააგენტო
PIU – პროექტის განმახორციელებელი ერთეული
RDA – სოფლის განვითარების სააგენტო
SMEs – მცირე და საშუალო საწარმოები
SPS – სანიტარია და ფიტოსანიტარია
გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ძირითადი ტერმინების განმარტება

თანამონაწილეობრივი გრანტი: FAO-ს მიერ გაწეული საინვესტიციო მხარდაჭერა, აღჭურვილობებში ინვესტიციის ნაწილის დასაფარად.

თანამონაწილეობრივი შენატანი: გრანტის მიმღების მიერ გაწეული ფინანსური შენატანი, აღჭურვილობებში ინვესტიციის ნაწილის დასაფარად.

საგრანტო განაცხადი: FAO-ს თანამონაწილეობრივი გრანტის მისაღებად შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს საგრანტო განაცხადის ფორმასა და ყველა შესაბამის თანმხლებ დოკუმენტაციას.

საგრანტო ხელშეკრულება: FAO-სა და გრანტის მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ასახავს გაწეული საინვესტიციო მხარდაჭერის მოცულობას, გრანტის მიმღების ვალდებულებებსა და ხელშეკრულების ზოგად დებულებებს.

პროგრამის პლატფორმა: ონლაინ პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს მთავარ ინტერფეისს განმცხადებელსა და FAO-ს შორის. ყველა საგრანტო განაცხადი პირდაპირ აიტვირთება პლატფორმაზე.

პირადი ფაილი: დაცული ინდივიდუალური ფაილი პროგრამის პლატფორმაზე, სადაც განმცხადებელს შეუძლია ატვირთოს თავისი საგრანტო განაცხადი.

ტექნიკური განხილვა: FAO–ს მიერ საგრანტო განაცხადების ტექნიკური განხილვა, რომელიც აანალიზებს შემოთავაზებული საინვესტიციო მხარდაჭერის ზოგად ხედვას და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

საკვალიფიკაციო საველე ვიზიტი: FAO-ს მიერ განმცხადებლის ტერიტორიაზე განხორციელებული საველე ვიზიტი, საგრანტო განაცხადში შეტანილი ძირითადი ინფორმაციის გადასამოწმებლად.

ინვესტიციის განხორციელების გეგმა: დეტალური ვადები, რომელიც ასახავს სხვადასხვა ეტაპს საინვესტიციო მხარდაჭერის განსახორციელებლად.

1. შესავალი

აღნიშნული საგრანტო სახელმძღვანელო აღწერს იმ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მე-7 მხარდაჭერის პაკეტის, „თხილის მცირე და საშუალო მწარმოებლებისთვის მხარდაჭერის პაკეტის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორისთვის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD IV) მეოთხე ფაზის ფარგლებში.

ENPARD IV-ის ფარგლებში, FAO-ს მიერ საქართველოს სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სექტორის მხარდაჭერა მიზნად ისახავს მწარმოებლებისა და სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორების მხარდაჭერას „მხარდაჭერის პაკეტების“ მეშვეობით, რომელთა მიზანია სანიტარული და ფიტოსანიტარული/სურსათის უვნებლობის რეგულაციებისა და მოთხოვნების განხორციელება. აღნიშნული მხარდაჭერის პაკეტები პირველ ეტაპზე მოიაზრებს ბენეფიციარებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას, ხოლო შემდგომ, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმს თანამონაწილეობრივი გრანტის სახით, რომელიც განკუთვნილია სანიტარულ და ფიტოსანიტარულ/სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან პირდაპირ დაკავშირებული აღჭურვილობის შესაძენად.

პროგრამამ უკვე განახორციელა ექვსი მხარდაჭერის პაკეტი, სადაც ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი წარმოდგენილი იყო მომწოდებლის მიერ მიწოდებული თანამონაწილეობრივი გრანტის სახით, რომლისთვისაც პროექტის საწყის ეტაპზე მომზადდა და დამტკიცდა ცალკე საგრანტო სახელმძღვანელო. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროექტის განხორციელებისას დადგენილი გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით, პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა (PIU) წარადგინა ახალი მხარდაჭერის პაკეტი, მომწოდებლის მიერ მიწოდებული გრანტის სახით, რომელიც გამიზნულია თხილის მცირე და საშუალო მწარმოებლებისთვის. აღნიშნული მხარდაჭერის პაკეტის მიზანია სურსათის წარმოების შემდგომი უვნებლობის საკითხების გაუმჯობესება თხილის ღირებულებათა ჯაჭვში, კერძოდ სამეურნეო დონეზე, მოსავლის აღების შემდგომი არასათანადო პრაქტიკებისა და აღჭურვილობის შედეგად გამოვლენილი აფლატოქსინის განვითრების რისკის დაძლევის გზით. მხარდაჭერის პაკეტი, რომელიც მოიცავს სრულფასოვან სასწავლო პროგრამებსა და თანამონაწილეობრივი გრანტის მიღების შესაძლებლობას, და რომელიც დაფარავს თხილის შრობასთან დაკავშირებული აღჭურვილობის შეძენას, ასევე მიზნად ისახავს სამიზნე ბენეფიციარების სათანადო იურიდიული რეგისტრაციის წახალისებას.

შერჩევის პროცესით გათვალისწინებული ყველა განხილვა და საველე ვიზიტი განხორციელდება FAO-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც შედგება გრანტების ანალიტიკოსების, ღირებულებათა ჯაჭვის საერთაშორისო ექსპერტისა და სურსათის უვნებლობის ექსპერტისგან.

მოსალოდნელია, რომ პროექტის აქტივობები დადებითად აისახება ქართული თხილის სურსათის უვნებლობის მდგომარეობაზე და უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის ეროვნულ რეგულაციებთან უკეთეს შესაბამისობას. პროექტი ფინანსდება ENPARD-ის მეოთხე ფაზის ფარგლებში და ეფუძნება FAO-ს და სხვა პარტნიორების მიერ ENPARD I, ENPARD II და ENPARD III ფაზების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შედეგებს.

2. საგრანტო კომპონენტის მოქმედების სფერო, დასაშვები კრიტერიუმები, და დასაშვები ინვესტიციები

2.1 საგრანტო კომპონენტის მოქმედების სფერო

FAO-ს მხარდაჭერა ENPARD IV-ის მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში თანამონაწილეობრივი გრანტების გაცემას თხილის მცირე და საშუალო მწარმოებლებისთვის, საქართველოს ხუთ ძირითად თხილის მწარმოებელ რეგიონში, კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, კახეთში, აჭარასა და იმერეთში, რომლებიც ეროვნული წარმოების 98%-ს წარმოადგენენ.

2.2 განმცხადებლების დასაშვები კრიტერიუმები

თანამონაწილეობრივი გრანტის გაცემა დაეფუძნება დასაშვები კრიტერიუმების ჩამონათვალს, ისევე როგორც საგრანტო განაცხადის ტექნიკურ შეფასებას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განმცხადებელი,. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდგომ კრიტერიუმებს:

- გავლილი ჰქონდეთ ENPARD IV პროგრამის ფარგლებში FAO-ს მიერ ჩატარებული თხილის უვნებლობის არანაკლებ ერთი სასწავლო პროგრამა.
- შესაბამის რეგიონებში ფლობდნენ ან მართავდნენ 0.5-დან 30 ჰექტარამდე ფართობის თხილის ბაღებს.
- ჰქონდეთ მოქმედი ბიზნესი, რომელიც ამჟამად ჩართულია საქართველოში თხილის წარმოების პროცესში. ბიზნესის უმეტესი წილის (50%-ზე მეტი) მფლობელები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და მათ უნდა წარადგინონ შესაბამისი თანმხლები დოკუმენტაცია, როგორც ეს მითითებულია განაცხადის ფორმაში.
- ხელმისაწვდომი ჰქონდეთ შესაბამისი სივრცე აღჭურვილობის დასამონტაჟებლად.
- ყველა განმცხადებელი უნდა იყოს სათანადო წესით რეგისტრირებული საჯარო რეესტრში (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განმცხადებლებს მოეთხოვებათ სამართლებრივი სტატუსის ფლობა. განმცხადებლები არ უნდა იყვნენ გაკოტრებული, ლიკვიდირებული და მათი საქმიანობა არ უნდა განიხილებოდეს სასამართლოს მიერ.
- განმცხადებლებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის მიმდინარე დავა შემოსავლების სამსახურთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ან სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

- ყველა განმცხადებელი უნდა დაესწროს FAO-ს მიერ ორგანიზებულ თხილის უსაფრთხოების სასწავლო ტრენინგს, რომელიც ჩატარდება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე.
- ყველა განმცხადებელი შესაძლებელია დაექვემდებაროს FAO-ს სურსათის უვნებლობის ექსპერტის მიერ ჩატარებულ საველე ვიზიტს, შეთავაზებული ინვესტიციის ტექნიკური ადეკვატურობისა და პროექტის მიზნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. საველე ვიზიტებისა და ტექნიკური შეფასების შედეგები აისახება ანგარიშში.
- განმცხადებლებს, რომლებმაც უკვე მიიღეს თანამონაწილეობრივი გრანტი ENPARD IV-ის ფარგლებში, შეუძლიათ ხელახლა შემოიტანონ განაცხადი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პირველადი გრანტები სრულად და წარმატებულად განხორციელდა (მათ შორის მიმწოდებლისთვის ბოლო გადასახადის დამუშავება), არ გამოვლენილა პირველი საგრანტო ხელშეკრულების დარღვევა და ახალი წინადადება დააფინანსებს ისეთ ნივთებს, რომლებიც პირველი გრანტის მიერ არ დაფინანსებულა. თუმცა, პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის გაცემული ყველა გრანტის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ აკუმულირებულ ზღვარს, 50 000 აშშ დოლარს. თუ წარმოდგენილი ბიუჯეტი სცილდება აღნიშნულ ზღვარს, შესაძლებელია განიხილებოდეს ნაწილობრივი დაფინანსება, ბიუჯეტის საჭიროებისამებრ შესწორებით. ENPARD IV-ის ფარგლებში ყველა გრანტის კონკურსი დამოუკიდებელია და ერთის ფარგლებში გრანტის მიღება არ იძლევა გარანტიას და არ ახდენს გავლენას მეორის შედეგებზე. ამ კონკურსის ფარგლებში არსებული შესაბამისობის პირობები და შერჩევის კრიტერიუმები თანაბრად ვრცელდება ყველა განმცხადებელზე, მიუხედავად იმისა, წარსულში მიღებული აქვთ თუ არა მათ გრანტი ამ პროგრამის ფარგლებში.
- განმცხადებლებმა უნდა უზრუნველყონ საქმიანობის მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვა, მათ შორის გამჭვირვალობა საქმიან ურთიერთობებში, ნებისმიერი ფაქტიური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნება და დოკუმენტაციისა და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება.
- განმცხადებლები არ უნდა იყვნენ ჩართული გაეროს მიერ აკრძალულ საქმიანობებში; არ უნდა ჰქონდეთ შეუსრულებელი ვალდებულებები სხვა დახმარების პროგრამების ფარგლებში; და არ უნდა იყვნენ FAO-ს ან FAO-ს განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის პერსონალის ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილი, მშობელი ან ძმა/და),საქმიანი პარტნიორები ან პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები.
- განმცხადებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და დაუყოვნებლივ აცნობოს FAO-ს ისეთი სიტუაციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ან სავარაუდოდ გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს, რაც შეიძლება მოიცავდეს FAO-ს ნებისმიერ თანამშრომელს, კერძო პირს ან სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საგრანტო პროცესში, იქნება ეს განაცხადთან, ტექნიკური განხილვასთან, შერჩევასთან, მონიტორინგთან, გადახდასთან, სხვა კომპონენტთან, ან FAO-ს დაქირავებული პარტნიორის ნებისმიერ თანამშრომელთან დაკავშირებით, რომელსაც აქვს რაიმე სახის ინტერესი განმცხადებლის საქმიანობაში.

- ნებისმიერი სახის თაღლითური ქმედება გამოიწვევს FAO-ს მიერ პროექტის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

დასაშვები ინვესტიციები

პროგრამა განხორციელდება მომწოდებლის მიერ მიწოდებული თანამონაწილეობრივი გრანტის მეშვეობით. დასაშვები ინვესტიციების ჩამონათვალი მოიცავს:

- ვერტიკალური თხილის საშრობები, სხვადასხვა სიმძლავრით და მოცულობით
- ლენტური კონვეიერები ან ვერტიკალური ელევატორები (შესაბამისი თხილის საშრობისთვის განკუთვნილი)
- უცხო სხეულების გამცლელები (Destoner)
- თხილის გასარჩევი მაგიდები

თითოეული აღჭურვილობა შემოთავაზებული იქნება ერთი ან რამდენიმე მომწოდებლის მიერ, FAO-ს მიერ კონკურენტული პროცედურის გზით წინასწარ შერჩეული პირობებით, საგრანტო განაცხადების გამოცხადებამდე. თითოეული შერჩეული აღჭურვილობის ტექნიკური მახასიათებლები შეგიძლიათ იხილოთ საგრანტო სახელმძღვანელოს I დანართში. განმცხადებლებს შესაძლებლობა მიეცემათ განაცხადი წარადგინონ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ აღჭურვილობაზე, რომელთა საერთო საგრანტო ღირებულება არ აღემატება 50 000 აშშ დოლარს. შეთავაზებულ აღჭურვილობასა და პირობებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მიმართოთ პროექტის ვებგვერდს.

2.4 ზოგადი პრინციპები და მხარდამჭერი ინვესტიციის ზღვარი

პროგრამა ბენეფიციარებს ავალდებულებს სრული ინვესტიციის 30%-ით თანამონაწილეობას ნაღდი ფულით. აღნიშნული თანამონაწილეობრივი შენატანის მოთხოვნა გავრცელდება ყველა განმცხადებელზე, ბენეფიციარების პროექტისადმი ერთგულებისა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობის დადასტურების მიზნით.

პროგრამა მიიჩნევს ნაღდ ფულს თანამონაწილეობრივი შენატანის მისაღებ ფორმად, რომელიც ის სპეციალურად და უშუალოდ არის გამოყოფილი საინვესტიციო გეგმებისთვის. გრანტის მიმღებმა თანამონაწილეობრივი შენატანი უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ და აღჭურვილობის მიწოდებამდე. არაფულადი შენატანი (როგორიცაა შრომა, მიწა, აღჭურვილობა და ა.შ.), ლიზინგი ან სხვა დონორების დაფინანსება (დაფინანსების ერთიანი წესი) არ შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებლის თანამონაწილეობრივ შენატანად.

FAO-ს მიერ უზრუნველყოფილი სრული თანამონაწილეობრივი გრანტი არ უნდა იყოს 1 000 აშშ დოლარზე ნაკლები ან 50 000 აშშ დოლარზე მეტი. თანამონაწილეობრივი გრანტი პირდაპირ გადაეცემათ აღჭურვილობის მიმწოდებლებს, ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობრივი შენატანის წარმატებით გადახდის და მიმწოდებლების მიერ აღჭურვილობების მიწოდების

შემდგომ. განმცხადებელმა შესაძლებელია მიიღოს რამდენიმე გრანტი, მაგრამ ENPARD IV-ის ფარგლებში მიღებული გრანტის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ ზღვარს - 50 000 აშშ დოლარს. ყველა თანამონაწილეობრივი გრანტი გამოყენებულ უნდა იქნას ENPARD IV პროგრამის დასრულებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე. ყველა განმცხადებელი პასუხისმგებელი იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი გადასახადის/მოსაკრებლის გადახდაზე.

3. განაცხადის გაკეთების პროცესი

მხარდაჭერის პაკეტის პროცესი მიჰყვება მკაფიოდ განსაზღვრულ ნაბიჯებს:

I ფაზა: პოტენციურ ბენეფიციარებთან დაკავშირება

პროექტის განმახორციელებელი ერთეული ითანამშრომლებს FAO ENPARD IV-ის პროექტის სხვა გუნდებთან, კერძოდ კომუნიკაციებისა და საექსტენციო გუნდებთან, რათა უზრუნველყოს, რომ მხარდაჭერის პაკეტის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით ფართოდ იყოს ხელმისაწვდომი პოტენციური ბენეფიციარებისთვის. პირველ რიგში, არსებული სოციალური მედია და საინფორმაციო წყაროები გამოყენებული იქნება მხარდაჭერის პაკეტის გახსნის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და პოტენციური ბენეფიციარების მოსაწვევად განაცხადის გასაკეთებლად. საინფორმაციო არხებად გამოყენებული იქნება FAO Georgia-ს ფეისბუქის გვერდი და ვებგვერდი, ასევე EU in Georgia-ს ფეისბუქის გვერდი. პროექტის განმახორციელებელი ერთეული ასევე ითანამშრომლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს კოლეგებთან, რათა აცნობოს მათ აღნიშნული დაფინანსების დაწყების შესახებ. პოტენციური შესაბამისი კანდიდატების იდენტიფიცირებისა და ინფორმირების მიზნით, FAO ასევე დაეყრდნობა თხილის დაახლოებით 5000 მწარმოებელთა ჩამონათვალს, რომლებმაც გაიარეს ტექნიკური სასწავლო პროგრამა მე-4 მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში.

<u>შედეგი:</u> პოტენციური ბენეფიციარები პირდაპირ ან ირიბად ინფორმირებულები არიან მხარდაჭერის პაკეტის შესაძლებლობის შესახებ და მოწვეული არიან შესაბამისი პლატფორმის მეშვეობით განაცხადის გაკეთებაზე.

II ფაზა: გრანტის მართვის პლატფორმაზე განაცხადის შექმნა

განმცხადებლები უნდა დარეგისტრირდნენ FAO-ს გრანტის მართვის პლატფორმაზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდის მეშვეობით. დასარეგისტრირებლად, განმცხადებლებმა უნდა ატვირთონ თავიანთი პროფილის ინფორმაცია, მათ შორის პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია. რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენისთანავე, განმცხადებელი მიიღებს უნიკალურ საიდენტიფიკაციო მონაცემებს, პლატფორმაზე მათ პირად ფაილთან წვდომისთვის.

პროფილის შექმნის შემდეგ, განმცხადებლებს შეეძლებათ შეავსონ თავიანთი განაცხადის ფორმები:

- საგრანტო განაცხადის წარსადგენად, ყველა განმცხადებელი უნდა შევიდეს პლატფორმაზე არსებულ პირად პროფილში,.
- განაცხადები უნდა მომზადდნენ უშუალოდ პროგრამის პლატფორმაზე და ყველა საჭირო თანმხლები დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ელექტრონულად. იმისათვის, რომ ჩაითვალოს წარდგენილად, განაცხადი უნდა შეიცავდეს ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტს.
- განმცხადებელს მოეთხოვება სტრატეგიისა და ინვესტიციის დასაბუთების შესახებ დეტალური ინფორმაციის, ასევე განმცხადებლის ბიზნესისა და მათ მიერ მოთხოვნილი აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. განაცხადის ფორმა ასევე მოიცავს წარდგენილი ინვესტიციის სავარაუდო ბიუჯეტს.
- თავიანთი განაცხადების ფორმულირებისათვის განმცხადებლებმა შესაძლებელია მოითხოვონ დახმარება FAO-სგან, , ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- განმცხადებლებს განესაზღვრებათ კონკრეტული ვადა, თავიანთი განაცხადების წარსადგენად. აღნიშნული ვადის შემდგომ მიღებული განაცხადები არ დაიშვება.
- თითოეულ განმცხადებელს აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება, მიუხედავად იმისა, განმცხადებელი ფიზიკური პირია თუ იურიდიული პირი. ერთზე მეტი განაცხადის შემთხვევაში, მხოლოდ განმცხადებელთან დაკავშირებული ყველაზე მაღალი ბიუჯეტის განაცხადი იქნება გათვალისწინებული.
- წარდგენის შემდგომ, განმცხადებელი მიიღებს ოფიციალურ დამადასტურებელ ცნობას, რომელშიც მითითებული იქნება განაცხადის უნიკალური სერიული ნომერი. ცნობა იქნება ელექტრონული ფორმით (მაგ.: დამადასტურებელი ელ. წერილი).
- წარდგენის შემდეგ, განაცხადის გამოთხოვა ან რაიმე ფორმით შეცვლა შეუძლებელი იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას FAO მოითხოვს.
- განაცხადები, რომლებიც არ შეიცავს განაცხადის პლატფორმაზე მოთხოვნილ ყველა პუნქტსა და დამადასტურებელ დოკუმენტს, შესაძლოა იყოს უარყოფილი.
- მცირე და საშუალო საწარმოების განაცხადების შემთხვევაში, განაცხადი უნდა იყოს წარდგენილი ან ავტორიზებული კომპანიის კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

პლატფორმაზე განაცხადის ფორმის შევსებისას, განმცხადებლებს მოეთხოვებათ შემდგომი თანმხლები დოკუმენტების წარდგენა:

1. კომპანიის დირექტორის/თავჯდომარის/კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი.
2. რეგისტრაციის ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან.

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო რუკებით/ამონაწერებით და სასოფლო-სამეურნეო/კომერციული დანიშნულების მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან, საჭიროებისამებრ, ქირავნობის ხელშეკრულება.
4. ფერმის სურათები, მათ შორის იმ სივრცის სურათები, სადაც აღჭურვილობა დამონტაჟდება.
5. შემოთავაზებული ინვესტიციის დეტალური ბიუჯეტი.

<u>შედეგი:</u> შექმნილია განმცხადებლის პროფილი პროგრამის გრანტის მართვის პლატფორმაზე, წარდგენილია განაცხადი და ატვირთულია ყველა შესაბამისი თანმხლები დოკუმენტი.

III ფაზა: დაშვებადობის განხილვა

საგრანტო განაცხადის წარდგენის შემდეგ, FAO მოახდენს განაცხადის დაშვებადობის განხილვას, რათა დაადასტუროს განმცხადებლის პროფილის შესაბამისობა მხარდაჭერის პაკეტის მინიმალურ კრიტერიუმებთან, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი 2.2 ნაწილში. ამავდროულად, მიღებული დოკუმენტაციისა და თანმხლები დოკუმენტების განხილვაც მოხდება. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ინფორმაცია არ არის მითითებული, FAO დაუკავშირდება განმცხადებელს და მოსთხოვს გამოტოვებული ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

<u>შედეგი:</u> განაცხადის ფორმა განხილულია FAO-ს მიერ განაცხადის შესაბამისობისა და სისრულის მიხედვით. თუ განაცხადი აკმაყოფილებს შესაბამისობისა და სისრულის მოთხოვნებს, იგი გადადის შემდეგ ეტაპზე – ტექნიკური შეფასების პირველ დონეზე. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს შესაბამისობის მინიმალურ კრიტერიუმებს, იგი იქნება უარყოფილი.

IV ფაზა: წარდგენილი თანამონაწილეობრივი საგრანტო განაცხადის ტექნიკური შეფასება და ქულების მინიჭება

ამ ეტაპზე, FAO ტექნიკურად განიხილავს და შეაფასებს შემოთავაზებულ თანამონაწილეობრივ საგრანტო განაცხადს. შეფასების პროცესი მოიცავს FAO-ს გრანტების ანალიტიკოსის მიერ პირველად განხილვას და შემდგომ, გრანტების მენეჯერის (ტექნიკური განხილვის პროცესის თავმჯდომარე) მიერ კოლეგიალურ შეფასებას, ოთხი თვალის პრინციპის შესაბამისად. თუ ტექნიკური თვალსაზრისით საჭიროდ ჩაითვლება, გრანტების მენეჯერმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ტექნიკური მოსაზრება FAO-ს როგორც შიდა, ასევე გარე წევრებისგან, ან/და გადაწყვიტოს საველე ვიზიტი, საგრანტო განაცხადის ფორმაში მოცემული ინფორმაციის დასადასტურებლად. ეს ორმაგი პროცედურა უზრუნველყოფს გამჭვირვალე და დამოუკიდებელ შეფასების პროცესს.

აღნიშნული ტექნიკური განხილვის მიზანია უზრუნველყოს განაცხადის, , საგრანტო საოპერაციო სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან შესაბამისობა, ისევე როგორც პროექტის გამართულობა ტექნიკური თვალსაზრისით. აღნიშნული გადამოწმება შემოიფარგლება დასაშვები კრიტერიუმების შემოწმებით, განაცხადის სისრულით, ტექნიკური და პროგრამული ადეკვატურობითა და ბიუჯეტით.

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი საგრანტო სახელმძღვანელოს მე-2 დანართში.

განმცხადებელმა 100 ქულიდან არანაკლებ 70 ქულა უნდა დააგროვოს. განაცხადები, რომლებიც ვერ გადალახავენ 70-ქულიან ზღვარს, აღარ შეფასდება და უარსაყოფად წარედგინება განაცხადების შესარჩევ კომიტეტს. განაცხადები, რომლებიც გადალახავენ 70-ქულიან ზღვარს, შესარჩევ კომიტეტს წარედგინება დასამტკიცებლად.

წარმატებული ტექნიკური შეფასება არავითარ შემთხვევაში არ ავალდებულებს FAO-ს დააფინანსოს განმცხადებლის მიერ წარდგენილი პროექტი.

შედეგი: თანამონაწილეობრივი გრანტის განაცხადი ტექნიკურად განხილული და შეფასებულია.FAO-ს მიერ და მზად არის კომიტეტთან წარსადგენად.

V ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის დამტკიცება და გადაწყვეტილების მიღება

საგრანტო განაცხადების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს შერჩევის კომიტეტი, რომელიც შედგება ENPARD პროგრამის მენეჯერის (თავმჯდომარე), FAOGE ოპერაციების სპეციალისტის (მდივანი), FAOGE სურსათის უვნებლობის ეროვნული ექსპერტისა და განმახორციელებელი პარტნიორის (CzDA) წარმომადგენლისგან.

- კომიტეტს შეუძლია შეარჩიოს, უარყოს, მოითხოვოს დამხმარე დოკუმენტაცია, წარადგინოს ცვლილებები, ან დაამატოს პირობები განაცხადის დამტკიცებისათვის.
- შერჩევა იქნება დოკუმენტირებული ოქმით, რომელიც მომზადდება პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ, მათ შორის თითოეული განაცხადის შერჩევის ან უარყოფის მკაფიო დასაბუთებით.
- წარდგენილი განაცხადი და ნებისმიერი თანდართული დოკუმენტი არ უბრუნდებათ განმცხადებლებს, თუმცა ამასთანავე არ ზიარდება სხვა დაწესებულებასთან განმცხადებლის ოფიციალური თანხმობის გარეშე.

შერჩევის კომიტეტის გადაწყვეტილებები დაჯილდოებასთან დაკავშირებით დოკუმენტირებული იქნება ოქმით, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა წევრი. ხელმოწერილი ოქმი საბოლოო დამტკიცებისთვის გადაეცემა FAO-ს პროექტის ბიუჯეტის მფლობელს. ბიუჯეტის მფლობელი პასუხისმგებელია შესაბამისი გრანტის დამტკიცების საბოლოო დამტკიცებასა თუ უარყოფაზე. ბიუჯეტის მფლობელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გრანტის დამტკიცების შესახებ საბოლოო და შეუქცევადია. მიღებული გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუმცა, FAO ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს საგრანტო პროცესის მართვის ყველაზე გამჭვირვალე მიდგომა, ორგანიზაციის ეთიკური ვალდებულებების შესაბამისად და ჩამოაყალიბებს საჩივრების განხილვის მექანიზმს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გრანტების მართვის პლატფორმიდან. ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალე, ეფექტურ და დროულ

მექანიზმს განმცხადებლებისა და ბენეფიციარებისთვის, რათა მათ მიეცეთ თავიანთი უკუკავშირისა და დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება. საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ ვრცელიინფორმაცია ხელმისაწვდომია პროექტის ვებგვერდზე.

<u>შედეგი:</u> შემოთავაზებული პროექტები შეფასდა განაცხადების შერჩევის კომიტეტის მიერ და შეხვედრის შედეგები დოკუმენტირებული იქნა ოქმით, რომელიც ხელმოწერილია კომიტეტის სამივე წევრის მიერ. ოქმი საბოლოო დამტკიცებისა და ხელმოწერისთვის გადაეცემა FAO-ს პროექტის ბიუჯეტის მფლობელს.

VI ფაზა: Zoho-ს პროფილის შექმნა

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი წარმატებას მიაღწევს და მისი განაცხადი დამტკიცდება შერჩევის კომიტეტის მიერ, FAO შექმნის ინდივიდუალური პროფილის ფორმას Zoho-ს მონიტორინგის პლატფორმაზე, რომელსაც პროექტი იყენებს მხარდაჭერის პაკეტის პროცესის ფარგლებში შესასრულებელი ყველა აქტივობის ზუსტი მონიტორინგისა და ზოგადი აღრიცხვისთვის.

<u>შედეგი:</u> Zoho-ს პლატფორმაზე FAO-ს მიერ შეიქმნა მონიტორინგის პლატფორმა.

VII ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების მომზადება და ხელმოწერა

1. <u>ინვესტიციის განხორციელების გეგმა:</u>

მომავალ ბენეფიციართან ერთად, FAO განიხილავს განაცხადში შემოთავაზებული ინვესტიციის ვადებს და განსაზღვრავს ინვესტიციის განხორციელების გეგმას, რომელიც მოიცავს:

a. მხარდაჭერის ფორმებს, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარების მიერ მისაღწევ კონკრეტულ ეტაპებს;

b. თანამონაწილეობრივი გრანტის დამტკიცებულ ბიუჯეტს, მათ შორის შესაძენი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს, ინვესტიციების დაფინანსების დეტალებს (თანამონაწილეობრივი გრანტი, თანამონაწილეობრივი შენატანი), და სხვა დაკავშირებულ მიმწოდებლებს;

c. გადახდის გრაფიკს, გადახდებით, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, დამოკიდებული იქნება განსაზღვრული ეტაპების მიღწევაზე. გადახდის გრაფიკი მოერგება თითოეულ ინვესტიციას, განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად.

ბენეფიციარი სრულად არის პასუხისმგებელი დამტკიცებული ინვესტიციების სწორად განხორციელებაზე.

2. <u>საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა:</u>

სათანადოდ მომზადებულ საგრანტო ხელშეკრულების, რომელიც მოიცავს ზოგად პირობებს, დამტკიცებულ ბიუჯეტს, შესაძენი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს და ინვესტიციის განხორციელების გეგმას, მთავარი ხელმომწერები არიან FAO და ბენეფიციარი. მხოლოდ

პირველად ხელმომწერს აქვს საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლება. ნებისმიერი გადახრა უნდა იყოს გამართლებული ფორს-მაჟორული შემთხვევით და ხელმოწერამდე უნდა იყოს განხილული FAO-სთან.

საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით, განმცხადებელი იღებს ვალდებულებას შეინახოს და მოუაროს მხარდაჭერით მიღებულ აღჭურვილობას ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღიდან არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, გრანტის მიმღებმა 2 თვის ვადაში უნდა შეასრულოს გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. თუ გრანტის მიმღები ამ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებებს, FAO იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულება, როგორც ეს გათვალისწინებულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებებში.

განმცხადებელი ასევე იღებს ვალდებულებას დაიცვას ღია კარის პოლიტიკა და ხელიშეუწყოს FAO-ს მოთხოვნით მის დაწესებულებაში ჩატარებულ ვიზიტებს. გრანტის მიმღების მოვალეობები ასევე მოიცავს FAO-ს ტექნიკური დახმარების აქტივობებში მონაწილეობას, მისი გეოგრაფიული რეგიონის საქმიანობისსფეროს შესაბამისად.FAO საინვესტიციო მხარდაჭერას მართავს საგრანტო ოპერაციული სახელმძღვანელოს,საგრანტო ხელშეკრულებისა და FAO-ს ყველა სხვა მოქმედი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

<u>შედეგი:</u> საგრანტო ხელშეკრულება მომზადდა მომავალ გრანტის მიმღებთან თანამშრომლობით და იგი მოიცავს ინვესტიციის განხორციელების დეტალურ გეგმას, დამტკიცებულ ბიუჯეტს და შესაძენი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს. მომზადების შემდგომ, საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა გრანტის მიმღებისა და FAO-ს მიერ.

VIII ფაზა: თანამონაწილეობრივი გრანტის გადახდა

თანამონაწილეობრივი გრანტის გადახდა განხორციელდება უშუალოდ მიმწოდებლისთვის მას შემდეგ, რაც გრანტის მიმღები მიმწოდებელს გადაუხდის თანამონაწილეობრივ კონტრიბუციას და მოხდება აღჭურვილობის ფაქტობრივი მიწოდება. FAO-ს უნდა მიეწოდოს თანმხლები დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს აღჭურვილობის ეფექტურ მიწოდებას.

აღჭურვილობის მიწოდების შემდეგ, FAO-მ შესაძლებელია განახორციელოს ინვესტიციის შემოწმების ვიზიტი, რათა შეამოწმოს ბენეფიციარების მიერ საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობა და ეტაპობრივი მიზნების მიღწევა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც აღჭურვილობის მიწოდება წარმატებულად შემოწმდება, და საჭიროების შემთხვევაში, როდესაც განხორციელდება ინვესტიციის შემოწმების ვიზიტი, FAO განახორციელებს მიმწოდებლისთვის გადახდას გონივრულ ვადაში.

გადახდები არასოდეს განხორციელდება ბენეფიციართან, არამედ მხოლოდ უშუალოდ მიმწოდებელთან.

FAO-ს რეგულაციების შესაბამისად, ნებისმიერი გადახდა, რომელიც განხორციელდება აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში, დამუშავდება გადახდის განხორციელების დროს არსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური ოპერაციული გაცვლითი კურსების შესაბამისად[1].

მრავალჯერადი ტრანშის გადახდის შემთხვევაში, შემდგომი ტრანშების გადახდა დაექვემდებარება FAO-ს მიერ წინა ეტაპის ვალიდაციას ინვესტიციის განხორციელების ვიზიტების დროს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილია შემდეგ ნაწილში.

<u>შედეგი:</u> თანამონაწილეობრივი შენატანის გადახდისა და აღჭურვილობის მიწოდების დადასტურების, და, საჭიროებისამებრ, წარმატებული ინვესტიციის შემოწმების ვიზიტის შემდეგ, FAO ახორციელებს პირველ გადახდას უშუალოდ მიმწოდებლებისთვის.

IX ფაზა: (შერჩევითი) ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შემოწმების ვიზიტები

საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ეტაპების შემთხვევაში, FAO განახორციელებს ინვესტიციის შემოწმების ვიზიტებს რათა შეამოწმოს ბენეფიციარების მიერ საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობა და ეტაპობრივი მიზნების მიღწევა ყოველი გადახდის წინ. პირველი ვიზიტი უნდა განხორციელდეს პირველ გადახდასთან დაკავშირებული აღჭურვილობის მიწოდების შემდეგ.

ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში, FAO განახორციელებს ვიზიტს თითოეული ეტაპობრივი მიზნის მიღწევის შემდეგ. ეტაპების მიღწევა უნდა დამოწმდეს წერილობითი ფორმით პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ, „ეტაპების დამადასტურებელ ანგარიშში“, საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თითოეული გადახდის განხორციელებამდე.

პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული გრაფიკიდან ან პირობებიდან ნებისმიერი გადახვევისა ან მოსალოდნელი დაგვიანების შესახებ უნდა აცნობოს ბიუჯეტის მფლობელს. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გრანტის მიმღების მიერ ცვლილებების შეტანის ნებისმიერი მოთხოვნა ოფიციალურად უნდა დამტკიცდეს FAO-ს მიერ წერილობით, როგორც ეს საგრანტო ხელშეკრულების დებულებაშია მითითებული.

<u>შედეგი:</u> ნაწილ-ნაწილ გადახდის შემთხვევაში, ეტაპობრივი მიღწევები მოწმდება FAO-ს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ, თითოეულ შემდგომ გადახდამდე ჩატარებული საველე ვიზიტის მეშვეობით.

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციული გაცვლითი კურსები https://treasury.un.org/operationalrates/OperationalRates.php#I

XIV ფაზა: მონიტორინგის აქტივობები

ზემოქმედების შეფასების მიზნით, FAO-ს მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშვალდებულებისა და სწავლის (MEAL) გუნდმა შესაძლოა განახორციელოს შემდგომი შეფასებითი ვიზიტები ბენეფიციარებთან, ან ნებისმიერი სხვა მონიტორინგის აქტივობა, საჭიროებისამებრ. FAO აღნიშნულ აქტივობებს გამოიყენებს, როგორც შესაძლებლობას, დახმარება გაუწიოს და რჩევები მისცეს გრანტის მიმღებებს, მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ეფექტური ბიზნესოპერაციების უზრუნველსაყოფად, ასევე განახლებული საბაზისო მონაცემების შესაგროვებლად. ბენეფიციარები ასევე მიიღებენ ინფორმაციას განვითარების პროგრამის სხვა მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

საინვესტიციო აქტივობებისა და მონიტორინგის ვიზიტების შემდგომი მეთვალყურეობის მიზნით, FAO შეაგროვებს და შეინახავს ინფორმაციას, ინდივიდუალურად, თითოეული ინვესტიციის სტატუსის შესახებ. ყველა ეს მონაცემი, FAO-ს განხორციელების შესახებ ზოგად ინფორმაციასთან, წინააღმდეგობებთან და აღმოჩენილ გადაჭრებთან, მიღწევებთან და გამოწვევებთან ერთად, შეჯამდება პროგრამის მიერ გამოყენებულ Zoho-ს მონიტორინგის პლატფორმაზე. ეს მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციარის ბიზნესის მდგომარეობის შესახებ, როგორც გრანტის გაცემამდე, ასევე მის შემდეგ.

FAO იქნება პასუხისმგებელი მონაცემების შეგროვებასა და ბენეფიციარების პროგრესის მონიტორინგზე. თუ ბენეფიციარი მიჩნეული „მაღალი რისკის“ მქონედ, დასახული მიზნების არასათანადოდ შესრულების, არასათანადო მენეჯმენტის, ან ჯილდოს წესებისა და პირობების შეუსრულებლობის გამო, FAO აცნობებს ბენეფიციარს შესაბამისი ზომების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია მოიცავდეს შეთანხმების შეცვლას, დროებით შეჩერებას ან ნაწილობრივ, ან სრულად, შეწყვეტას.

<u>შედეგი:</u> მონიტორინგის აქტივობებს ახორციელებს FAO-ს MEAL გუნდი, რათა შეფასდეს პროგრამის ეფექტურობა და გამოვლინდეს ახალი პოტენციური საჭიროებები ან გამოწვევები ბენეფიციარის დონეზე.

<u>შენიშვნა: მოცემული საგრანტო სახელმძღვანელო მომზადებულია როგორც ინგლისურ, ასევე</u>

<u>ქართულ ენაზე. თარგმანში რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.</u>